ჩოხატაური გურიის მხარის მუნიციპალიტეტია, რომელიც მდებარეობს გურიის ქედის სამხრეთ კალთის ძირას, რაც უზრუნველყოფს ახლო წვდომას სარკინიგზო კვანძთან, ორ საზღვაო პორტთან, ორ საერთაშორისო აეროპორტთან და თავისუფალ ეკონომიკურურ ზონებთან 80 კილომეტრის რადიუსში. მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ჩოხატაური. მუნიციპალიტეტი შედგება 2 დაბისა და 60 სოფლისგან. მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. აქ ცხოვრობს სხვადასხვა კვალიფიკაციის მშრომელი მოსახლეობა და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდობა.

ბოლო წლებში ბიზნეს სექტორის დაინტერესება მუნიციპალიტეტით იზრდება და შესაბამისად მზარდია ეკონომიკური აქტივობა. აქ როგორც სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერით, ასევე კერძო სექტორის ინიციატივით 261 მცირე და საშუალო საწარმო ამოქმედდა. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი უპირატესობა მისი საკურორტო და მისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პოტენციალია. მუნიციპალიტეტი თხილის მოსაყვანად კარგი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, აქ წარმოებულ პროდუქციას მნიშვნელოვანი წილი უკავია საქართველოს ბაზარზე. გამორჩეულია ადგილობრივი ჩაის ხარისხი, რომელსაც მდიდარი ისტორია და პოტენციალი გააჩნია. წარმატებულია მუნიციპალიტეტის ენდემური ჯიშებით წარმოებული ღვინო, რომელმაც მაღალი აღიარება მოიპოვა როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ. მდიდარი ტრადიცია აქვს მესიმინდეობას და მზარდი ტემპებით ვითარდება მეფუტკრეობა. აღნიშნული პერსპექტიული დარგები წარმატებული ინვესტიციის კარგ საფუძვლებს ქმნის. ტურისტული პოტენციალის კუთხით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტყით მდიდარი მთაგორიანი რელიეფი მრავალი წყაროთი და მდინარით, ცნობილი და ასათვისებელი მტკნარი, მინერალური და ბალნეოლოგიურის წყლებით და ღირსშესანიშნაობებით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში და მის გარეთ მუნიციპალიტეტის ბრენდად ქცეული გამაჯანსაღებელი კურორტი ბახმარო, რომლის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის, ხოლო მისი უნიკალური მდებარეობა რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ საჭირო მიკროკლიმატს ქმნის. ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რათა ბახმარო ოთხივე სეზონის კურორტი გახდეს და მას დაემატოს სამთო-სათხილამურო კურორტის ფუნქცია. კერძო ინვესტორის მხრიდან დაგეგმილია 100 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება სასტუმრო კომპლექსების მშენებლობაში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზრდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს, რაც ამ სფეროში დამატებით ახალი ინვესტიციების გაჩენის წინაპირობაა. მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსით, რასაც მთლიანი ტერიტორიის 65% უკავია. ქვეყანა სარგებლობს უვიზო მიმოსვლით და თავისუფალი ვაჭრობით ევროკავშირის და სხვა მრავალ ქვეყნებთან, რაც საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა, კორუფციისაგან თავისუფალი გარემო, ნაკლებად შემზღუდველი ადგილობრივი რეგულაციები და კერძო სექტორისა და ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობა, რაც მათი საჭიროებების მიმართ ყურადღებასა და თანადგომაში გამოიხატება. მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური

ზრდისთვის“ ფარგლებში შეიმუშავა 2018 – 2020 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც მოწონებული გახდა ევროკავშირის სამდივნოს და მსოფლიო ბანკის მიერ, შედეგად მუნიციპალიტეტი გახდა ამ ინიციატივის მოქმედი წევრი. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს 2020 – 2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც განვითარების პრიორიტეტებს და შესაბამის ქმედებებს ასახავს. გეგმა დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუნიციპალიტეტს ყავს დამეგობრებული ქალაქები, როგორიცაა ლიეტუვას ქალაქი პასვალისი (2009 წლიდან) და პოლონეთის ქალაქი ლეჟაისკი (2010 წლიდან).